

თბილისი 12 იანვარი 2018 წ.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოთხილამურე არქიტექტორთა
კლუბის -- **SKIA- 2018** შეჯიბრების პლაკატის ესკიზზე

ბლიც-კონკურსის

პროგრამა და პირობები

საკონკურსო პირობები შემუშავებულია არქიტექტურული და ურბანული გეგმარების საერთაშორისო კონკურსების მოწყობის შესახებ - UNESCO-UIA-ს 27.11.1978 წელი. პარიზი.- სახელმძღვანელო პრინციპებისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კონკურსების გამართვის ზოგადი დებულების საფუძველზე.

1. კონკურსის ორგანიზატორები:

- საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.
- თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის,
არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტი.

I თავი

ზოგადი ნაწილი

- 1.1 კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც ცალკეულ არქიტექტორებს, ასევე არქიტექტორთა საავტორო ჯგუფებს და არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტებს. კონკურსზე დასაშვებია ერთი ან ერთზე მეტი ნამუშევრის წარდგენა.
- 1.2. მასალების შეაფასებს და გამარჯვებულს გამოავლენს კონკურსის „ჟიური“.

III თავი

საკონკურსო მასალების წარდგენა და კალენდარი

3.1 კონკურსზე ესკიზის წარდგენა ხდება მხოლოდ A 3 ფორმატზე ვერტიკალურად. განსაკუთრებულად საყურადღებოა, ფორმატზე ქვედა მარჯვენა კუთხედში უნდა განთავსდეს დევიზი ნებისმიერი შვიდნიშნა რიცხვი შავი ფერით.

3.2 ესკიზის შესრულების ტექნიკა და ფერთა შერჩევა თავისუფალია. გასათვალისწინებელია მხოლოდ თემის შინაარსი და ზოგადად კონტექსტი, რადგან იგი ეძღვნება მოთხილამურე არქიტექტორთა შეჯიბრს, რომელიც იმართება ყოველწლიურად 1977 წლიდან და წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას არქიტექტორთა ცხოვრებაში.

3.3 აუცილებელია ინფორმაცია ესკიზის ავტორის/ავტორების შესახებ მოთავსდეს დალუქულ კონვერტში, რომელზეც ასევე განთავსებულია დევიზი შვიდნიშნა რიცხვი შავი ფერით და ესკიზთან ერთად უნდა ჩაბარდეს კონკურსის ორგანიზატორებს.

3.4 --კონკურსის გამოცხადება 2018 წლის 12 იანვარი.

---საკონკურსო მასალების მიღება 2018 წლის 12 თებერვალი, 17-00 საათამდე,

---კონკურსის შედეგების გამოცხადება და დაჯილდოების ცერემონია გაიმართება საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სააქტო დარბაზში, 2018 წლის 14 თებერვალს 17-00 საათზე.

IV თავი

კონკურსის ჟიური

4.1. საკონკურსო მასალების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენას მოახდენს ხუთ წევრიანი „ჟიური“, შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით აბულაძე,
- 2.. ნოდარ ამაშუკელი,
3. დავით ახვლედიანი
4. ნინო იმნაძე
5. გოჩა მიქიაშვილი

4.2 კონკურსის „ჭიური“ სხდომის პირველ შეხვედრაზე ჟიურის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავჯდომარეს .

4.3. ჟიურის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კონკურსის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს: საკონკურსო მასალების მიღება-დაბრუნებას, კომისიის ოქმების შედგენას; კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმიერი ტექნიკური საკითხების წარმართვას; კომისიის მდივანი სარგებლობს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით

4.4 საკონკურსო „ჭიური“, კონკურსთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტილებას იღებს კომისიის თავჯდომარე.

4.5 „ჭიურის“ სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა შემადგენლობიდან ოთხი წევრი მაინც.

4.6 საკონკურსო „ჭიური“ კონკურსის მსვლელობისას მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს ოქმის სახით, მათ შორის საბოლოო გადაწყვეტილებას, სადაც პრემირებული პროექტებისადმი, ჟიურის თითოეული წევრის საექსპერტო შეფასება ფიქსირდება მკაფიოდ. ოქმის ასლები მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

4.7 კონკურსის „ჭიურის“ უფლება აქვს კონკურსი უშედეგოდ გამოაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი იქნება მი ხუთი საკონკურსო კონცეფცია ნაკლები ან/და წინასწარი ანალიზის შედეგად, დისკვალიფიცირებული იქნა საკონკურსო პირობებთან შეუსაბამობის გამო ყველა საკონკურსო მასალა, რაც ფორმდება კონკურსის „ჭიურის“ სხდომაზე სათანადო ოქმით და ქვეყნდება იმავე საშუალებით, რომლითაც გამოცხადდა კონკურსი.

4.8 კონკურსის „ჭიურის“ გადაწყვეტილება-კონკურსში გამარჯვებულთა თაობაზე-საბოლოოა და არ შეიძლება შეიცვალოს, მათ შორის კონკურსის „ორგანიზატორის“ მიერ; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კონკურსში მონაწილეს“ აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომლითაც სათანადოდ დგინდება, რომ „ორგანიზატორის“ ან/და საკონკურსო „ჭიურის“ ქმედებით კონკურსის მსვლელობისას დაირღვა საკონკურსო პირობები და წესები ან/და შეილაზხა მისი, როგორც ავტორის სამართლებრივი უფლებები.

V თავი

შეფასების კრიტერიუმები

5.1 გამარჯვებულის გამოსავლენად „ჟიური“ ხელმძღვანელობს შემდეგი შეფასების კრიტერიუმებით:

5.2 საკონკურსო მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა და საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება;

5.3 ნამუშევრის კონკურსის მიზანთან მიზანშეწონილობა-თავსებადობა და ორიგინალობა.

4.4 ესკიზის შინაარსის, კომპოზიციისა და მხატვრული ხერხების თანაზომადობა.

VI თავი

კონკურსის „ორგანიზატორებისა“ და „კონკურსში მონაწილის“ ვალდებულებები.

6.1 კონკურსის პროგრამა და პირობებს, კონკურსის „ორგანიზატორებს“, კონკურსის „ჟიურისა“ და „კონკურსის მონაწილეს“ შორის აქვს ხელშეკრულების ძალა და შესაბამისად მათ შორის შესაძლო დავების წარმოშობა, მათი კომპენტენციის ფარგლებში, იხილება და წყდება წინამდებარე პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რის გამოც თითოეული მხარე ვალდებულია, კონკურსის მიმდინარეობისას ხელი შეუწყონ პროცესების მართლზომიერ წარმართვასა და კონკურსის დამთავრებამდე უზრუნველყონ საკითხთა კონფიდენციალურობა და საკონკურსო მასალების ანონიმურობა.

6.1.1 კონკურსის „ორგანიზატორები“ ვალდებული არიან შექმნან ყველა წინაპირობა, რათა წინამდებარე კონკურსი წარმართონ გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად.

6.1.2 შექმნან კონკურსის ჩატარებისათვის ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

6.1.3 უზრუნველყონ „საკონკურსო პირობებისა და წესების“ დამუშავება,

6.1.4 შექმნან საკონკურსო „ჟიური“

6.1.5 გასცენ საკონკურსო პრემია და წამახალისებელი პრიზები.